საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 30 მარტი, 2016 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/23

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტისა და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილებები სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-4 მუხლის მე-9 და მე-11 პუნქტებში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,9. მობილობის მსურველი პირების ცოდნისა და უნარების საგანამანათლებლო პროგრამებთან თავსებადობის დადგენის მიზნით შეიძლება შეიქმნას საგამოცდო კომისიები. საგამოცდო (შემოქმედებითი ტური/გამოცდა) პირობები და მოთხოვნები განისაზღვრება სწავლების თითოეულ საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) სტუდენტთა მიღების წესის შესაბამისად".

,,11. კომისია მობილობის მსურველი პირის განაცხადის დაკმაყოფილებისა და კრედიტების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საშემსრულებლო-შემოქმედებით სპეციალობებზე შემოქმედებითი ტურის, თეორიული მიმართულებით - სპეციალობის საგანში გამოცდის შედეგებისა და აკადემიური მოსწრების ფურცელში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რასაც აფორმებს დასკვნის სახით".

2. გაუქმდეს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის 4^1 მუხლის მე-19 პუნქტი.

3. დადგენილებით იხელმძღვანელონ სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და შესაბამისმა ფაკულტეტებმა.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია